



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავკასიური წმინდადმახვიარა



კავკასიური
წმინდადმახვიარა

კავკასიური წმინდადმახვიარა, შამილის წმინდადმახვიარა (*Phassus schamyl*, Chrystoph, 1888), პეპელა წმინდადმახვიარების (*Hepialidae*) ოჯახიდან. მესამეული პერიოდის რელიქტი და კავკასიის იშვიათი ენდემი. ოჯახი უძველესი წარმოშობისაა. პირველად აღმოჩენილია მდ. რიონის ხეობაში. მისი სხეული ვიწრო და მოგრძოა ლანცეტისებრი ფრთებით. წინა ფრთების სიგრძეა 33–50 მმ, ზოგჯერ მეტიც. საერთო ფონი ყავისფერია, ნახატი – რთული,

დახვეწილი კონტურებით. ალაგ-ალაგ ვარდისფერ-იისფერი და ოქროსფერი ანარეკლი გასდევს. წინა ფრთის ზედა კუთხესთან და ფუძის არეში 2–3 (ზოგჯერ მეტი ან ნაკლები) ოქროსფერ-მოვერცხლისფრო ლაქა აქვს. უკანა ფრთების ფონი მურაა და გარეთა კიდისკენ თანდათან თივისფერ-მოვარდისფრო ფერში გადადის. პეპლის ფერი და მოხატულობა მდგრადი არ არის. მკდომარე კ. წ. გამხმარ, დაგრეხილ ფოთოლს ნააგავს.

დღეისათვის სახეობის არეალი მოიცავს კავკასიის შავი ზღვისპირა ბოლს აჭარის ჭალებიდან ყუბანის მთისწინებამდე; სამხრ. მთიანეთში – ბორჯომის ხეობის ლოკალურ ადგილს, ბანისხევს. პეპლის ტიპური ადგილსამყოფელია ტყის ზონის ბიოტოპები და გაკულტურებული ლანდშაფტი. დამახასიათებელი ეკოლოგიური ნიშაა აფხაზეთის კოლხური ტიპის ტყე. ასეთ ტყეში ის ამჟობინებს ღელეების ჩრდილიან ნაპირებს, ტყის ველობებს და გაჩეხილ ადგილებს. ასეთ ბიოტოპებში მრავლდება როგორც მთისწინეთში, ისე მთაში ზ. დ. 1600 მ-მდე. არეალის დიდ ნაწილში იშვიათია, შედარებით ხშირია აგრობიოცენოზში. ფრენას იწყებს ივნისის ბოლოს ან ივლისის დასაწყისში; ზღვის დონის სიმაღლის მიხედვით ფრენის ვადებმა შეიძლება გადაინაცვლოს აგვისტო-სექტემბერშიც.

ბინდის პეპელაა. მდედრინებაც). ზამთრობს მატლი. ჭუპრი ვითარდება ნიადაგში, მილისებურ მიწის პარკში, რ-შიც თავისუფლად მოძრაობს წინ და უკან.

ძირითადი მალეშიტირებელი ფაქტორებია: სახეობის ტიპური საბინადრო ბიოტოპების სას.-სამ. მიზნით ათვისება, ტყეების გაჩეხვა, გადახვნა და მათ ადგილზე სუბტროპ. კულტურების გაშენება; კურორტების მშენებლობა, გზების გაყვანა და სხვ.

1976 წლიდან სახეობა შეტანილია საქართვე. ტერიტორიაზე დასაცავ მწერთა სიაში. ამჟამად ტიპური ბიოტოპები დაცულია კინტრიშის, რიონის, ბზიფისა და ბორჯომის ხეობებში.

ე. დიდმანიძე
